ირინე ჯორჯაძე
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კონსულტანტი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში:
„თანამედროვე ხელოვნება და სწავლების სტრატეგიები“

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა.

პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა / მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით.*

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასის შედეგად:

- მასწავლებლები გაეცნობიან ახალი და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა სტილსა და მხატვრულ სტრატეგიებს, მათი გამოყენების გზებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე.
- ინტერდისციპლინარულ მიდგომას, ამ მიდგომის გამოყენებას ინტეგრირებული გაკვეთილის დასაგეგმად.
- ინტერაქტიული მეთოდებისა და კონსტუქტივისტული მიდგომის გათვალისწინებით შექმნილ აქტივობებს, როგორც საბაზო ასევე საშუალო საფეხურზე.